გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 133

2025 წლის 10 ოქტომბერი

ქ. გორი

**შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიასა“ და შპს ,,KMA"-ს შორის 2013 წლის 5 ნოემბერს გაფორმებული აღნაგობის ხელშეკრულებით განსაზღვრულ აღნაგობის უფლების ვადის გაგრძელებაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ**

შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიასა“ (ს/ნ 405007200) და შპს ,,KMA"-ს (ს/ნ 417879503) შორის 2013 წლის 5 ნოემბერს დაიდო აღნაგობის ხელშეკრულება, რომლითაც აღნაგობის უფლებით შპს ,,KMA"-ს (ს/ნ 417879503) გადაეცა მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.07.006 (მის: ქალაქი გორი, ქუჩა პუშკინი, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 511 კვ.მ). აღნაგობის საზღაურის ყოველთვიური ოდენობა განისაზღვრა 236 (ორას ოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით. 2015 წლის 9 დეკემბერს შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიასა“ და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერს შორის დადებული შეთანხმებით ცვლილება შევიდა შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიასა“ და შპს ,,KMA"-ს (ს/ნ 417879503) შორის 2013 წლის 5 ნოემბერს გაფორმებული აღნაგობის ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების მხარედ შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიის“ ნაცვლად განისაზღვრა ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერია, რომლის უფლებამონაცვლეს დღეის მდგომარეობით წარმოადგენს გორის მუნიციპალიტეტი. მიწის ნაკვეთზე ,,აღნაგობის უფლების მქონე" პირმა აღმართა შენობა-ნაგებობა, რომელიც რეგისტრირებულია მის საკუთრებად (შენობა ნაგებობა №1 საერთო ფართით 265.85კვ.მ). მითითებული ხელშეკრულების ვადა იწურებოდა 2023 წლის 5 ნოემბერს.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესული იყო შპს ,,KMA"-ს (ს/ნ 417879503) 2023 წლის 28 ივნისის განცხადება, რომლითაც მოთხოვნილი იყო ზემოაღნიშნული აღნაგობის ხელშეკრულების ვადის 30 (ოცდაათი) წლით გაგრძელება. გორის მუნიციპალიტეტის მერიამ შპს ,,KMA"-ს შესთავაზა აღნაგობის ხელშეკრულების ვადის 1 (ერთი) წლის ვადით გაგრძელება (30 წლის ნაცვლად) და აღნაგობის თვიური საზღაურის 800 (რვაასი) ლარის ოდენობით განსაზღვრა, რაზეც შპს ,,KMA" დათანხმდა.

საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ 236-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საზღაური აღნაგობის უფლებისათვის მხარეებმა შეიძლება ათი წლის შუალედით განსაზღვრონ. თუ ეკონომიკური პირობები არსებითად იცვლება, მხარეები ვალდებულნი არიან თავიდან შეთანხმდნენ საზღაურზე. შპს ,,KMA"-ს (ს/ნ 417879503) 2023 წლის 28 ივნისის განცხადების საფუძველზე განხორციელდა ს/კ 66.45.07.006 მიწის ნაკვეთის შეფასება დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) მიერ. მითითებული შეფასებისა და

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნდა შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიასა“ და შპს ,,KMA"-ს (ს/ნ 417879503) შორის 2013 წლის 5 ნოემბერს დადებული აღნაგობის უფლების ვადა გაგრძელებულიყო 1 (ერთი) წლით, ხოლო აღნაგობის წლიური საზღაური შეცვლილიყო და განსაზღვრულიყო 9600 (ცხრა ათას ექვსასი) ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 ოქტომბრის №176 განკარგულებით მიეცა თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიასა“ და შპს ,,KMA"-ს (ს/ნ 417879503) შორის 2013 წლის 5 ნოემბერს დადებული აღნაგობის უფლების ვადა გაეგრძელებინა 1 (ერთი) წლით, ხოლო აღნაგობის წლიური საზღაური შეეცვალა და განესაზღვრა 9600 (ცხრა ათას ექვსასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული განკარგულების საფუძველზე გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,KMA"-ს (ს/ნ 417879503) შორის 2023 წლის 1 ნოემბერს გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიასა“ და შპს ,,KMA"-ს (ს/ნ 417879503) შორის 2013 წლის 5 ნოემბერს დადებული აღნაგობის უფლების ვადა გაგრძელდა 1 (ერთი) წლით, ხოლო აღნაგობის წლიური საზღაური შეიცვალა და განისაზღვრა 9600 (ცხრა ათას ექვსასი) ლარის ოდენობით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესული იყო შპს ,,KMA"-ს (ს/ნ 417879503) განცხადება, რომლითაც მოთხოვნილი იყო ზემოაღნიშნული აღნაგობის ხელშეკრულების ვადის 10 (ათი) წლით გაგრძელება. გორის მუნიციპალიტეტის მერიამ შპს ,,KMA"-ს შესთავაზა აღნაგობის ხელშეკრულების ვადის 1 (ერთი) წლის ვადით გაგრძელება (10 წლის ნაცვლად), რაზეც შპს ,,KMA" დათანხმდა. გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნდა შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიასა“ და შპს ,,KMA"-ს (ს/ნ 417879503) შორის 2013 წლის 5 ნოემბერს დადებული აღნაგობის უფლების ვადა გაგრძელდეს კიდევ 1 (ერთი) წლით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 11 ოქტომბრის №158 განკარგულებით მიეცა თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიასა“ და შპს ,,KMA"-ს (ს/ნ 417879503) შორის 2013 წლის 5 ნოემბერს დადებული აღნაგობის უფლების ვადა გაეგრძელებინა 1 (ერთი) წლით - 2025 წლის 5 ნოემბრამდე. აღნაგობის უფლების ვადა გაგრძელდა 1 (ერთი) წლით, 2025 წლის 5 ნოემბრამდე.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია შპს ,,KMA"-ს (ს/ნ 417879503) განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია ზემოაღნიშნული აღნაგობის ხელშეკრულების ვადის 10 (ათი) წლით გაგრძელება. გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიასა“ და შპს ,,KMA"-ს (ს/ნ 417879503) შორის 2013 წლის 5 ნოემბერს დადებული აღნაგობის უფლების ვადა გაგრძელდეს კიდევ 1 (ერთი) წლით (10 წლის ნაცვლად).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიასა“ და შპს ,,KMA"-ს (ს/ნ 417879503) შორის 2013 წლის 5 ნოემბერს დადებული აღნაგობის უფლების ვადა გაგრძელდეს კიდევ 1 (ერთი) წლით, 2026 წლის 5 ნოემბრამდე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების

წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიასა“ და შპს ,,KMA"-ს (ს/ნ 417879503) შორის 2013 წლის 5 ნოემბერს დადებული აღნაგობის უფლების ვადა გაგრძელდეს 1 (ერთი) წლით - 2026 წლის 5 ნოემბრამდე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე